№1080 2015 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

„საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესყიდვის პროცედურების სპეციალური წესების გამოყენების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 30 მაისის №1034 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესყიდვის პროცედურების სპეციალური წესების გამოყენების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 30 მაისის №1034 განკარგულებაში და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ევროკომისიასთან დადებული საგრანტო ხელშეკრულების (7 მაისის საგრანტო ხელშეკრულება „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა“, ვადით ორმოცი თვე, თანხით 1.190,000 (ერთი მილიონ ას ოთხმოცდაათი ათასი) ევრო, ხელშეკრულების ნომერი №ENPI/2012/292749) ფარგლებში, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ევროკავშირის მიერ დადგენილი წესები ხარჯების გაწევისა

და შესყიდვების განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებით, პროექტის განხორციელებისას იხელმძღვანელოს ზემოაღნიშნული პროცედურებით, განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები და შემდგომში ანგარიში წარუდგინოს გრანტის გამცემს.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

ა.